„დამტკიცებულია"
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ
დადგენილება № 45 18.09.2023 წ.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ქართული ფილოლოგია / Georgian Philology
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Georgian Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.
პროგრამის ხელმძღვანელი	თეონა ხუფენია, ბელა მოსია, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში)

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზნები	**ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაში დარგისთვის აუცილებელი ფართო ცოდნა მისცეს სტუდენტს ინტერდისციპლინური საკითხების, როგორიცაა ქართული ლიტერატურისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, ქართული ფოლკლორის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების, ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების, დარგის ძირითადი მეთოდებისა და კონცეფციების ახალი ასპექტების შესახებ. დარგისთვის აუცილებელი ცოდნის პარალელურად პროგრამა მიზნად ისახავს ფილოლოგიის ბაკალავრს შეეძლოს დარგის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გააზრება და საერთაშორისო კულტურული მოვლენების პარალელურად ეროვნული ფასეულობების წინ წამოწევა და მათი შედარების საფუძველზე ნაციონალური ღირებულებების გამოვლენა. დარგის სწავლებით ჩამოაყალიბოს ადამიანი აღჭურვილი ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
სწავლის შედეგები (ქართული ფილოლოგიის	**ცოდნა - გაცნობიერება** **აყალიბებს** ქართული სალიტერატურო ენისა და ლიტერატურის ისტორიას, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და განვითარების შესახებ ინფორმაციას. ქართული ლიტერატურის პერიოდებსა და იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენებს, რომლებმაც იქონიეს გავლენა ლიტერატურულ და ენობრივ პროცესებზე. ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრული ღირებულებების საკითხებს. ასევე ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებს და იმ კულტურულ კავშირებს უძველეს ცივლიზაციებთან, რომლებიც განაპირობებდნენ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებსა და იმ ეროვნულ ფასეულობებს, რომლებმაც განაპირობა მსოფლიო უძველესი და თანამედროვე ლიტერატურულ-კულტურული მოვლენები. **აღწერს** ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საბაზისო საკითხებს, მათ შორის ძველი ქართული ენის, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, ქართული ზეპირსიტყვიერების პროცესებს ქართველური ენათმეცნიერების ფართო ცოდნით; ასევე დიგიტალური ქართველოლოგიის თანამედროვე მიღწევებით კორპუსლინგვისტიკაში დამკვიდრებულ ცნებებს.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს)	**არკვევს და განიხილავს** ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის, სტილისტიკის, ძირითად თემებს; ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებსა და პრინციპებს, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის, ლინგვისტური კვლევის ძირითად ასპექტებს, ენობრივ ვარიაციას, ენის ცვლილებასა და მის როლს საზოგადოებაში; მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას შესაბამის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით და მათი შედარების საფუძველზე განიხილავს ენობრივ და ლიტერატურულ თავისებურებებს.
	უნარები **ხსნის, გადმოსცემს და პრაქტიკულად ერკვევა** ქართული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, სტილისტიკის, ქართული ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიისა და დიალექტოლოგიის საბაზისო საკითხებში; მსჯელობს ქართველური ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე დარგობრივი მიდგომით; პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს; ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების საველე და/ან სხვა მეთოდებს; **აანალიზებს და კრიტიკულად გაიაზრებს** ლიტერატურულ ტექსტს, ახდენს მის ინტერპრეტირებას და კონტექსტუალიზაციას მსოფლიო ლიტერატურის ეპოქებთან, მიმდინარეობებთან, სხვადასხვა კულტურულ სტილთან, ისტორიულ-პოლიტიკურ, სოციალურ პროცესებთან მიმართებით; **ქმნის** გამართული ფორმის, ლოგიკურად დასაბუთებულ, არსებითი აკადემიური სტანდარტების შესაბამის სხვადასხვა ფორმატის ნაშრომს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო და ელექტრონული რესურსების სამეცნიერო ლიტერატურის (ბიბლიოგრაფიები, დოკუმენტები, ვებგვერდები, წყაროები) დამოუკიდებლად მოძიებითა და სათანადოდ გაანალიზებით, წინასწარ განსაზღვრული გარკვეული ინსტრუქციების მიხედვით; გადმოსცემს მიღებულ ცოდნას ლოგიკურად ორგანიზებული საილუსტრაციო ნიმუშების დემონსტრირებით, შესაბამისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით აყალიბებს ზეპირ და წერილობით დასკვნას და მშობლიურ და უცხო ენაზე უზიარებს სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს.
	ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა **შეიმუშავებს** კრიტიკულ მიდგომას ენობრივი მოვლენებისა და ფაქტების, ქართული ლიტერატურის ანალიზისას; განსაზღვრავს და კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ ტექსტში ეთიკურ, ისტორიულ-იდეოლოგიურ საკითხებს; აანალიზებს ლიტერატურულ და ლინგვისტურ მოვლენებს ტოლერანტობის პრინციპებზე დაყრდნობით; გამოხატავს პატივისცემას ქართულის, როგორც სახელმწიფო ენისა და უმცირესობათა ენების მიმართ; **მოქმედებს** საკუთარი და სხვების განვითარების მიზნით, თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების, აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დაცვით ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პროცესში.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემა წარმოებს ისეთი საშუალებებით, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ). სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. **სწავლა-სწავლების მეთოდი** შეიძლება მოიცავდეს შემდეგ აქტივობებს: ვერბალური - (თემის ახსნა, გამოკითხვა, მსჯელობა, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია); წერითი - (პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დავალების მომზადება, სამუშაო ჯგუფში მოხსენების/პრეზენტაციების მომზადება, ამონაწერები სახელმძღვანელოდან და სხვ.); საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება - (ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, სპეციალობასთან დაკავშირებული მოხსენებისთვის/პრეზენტაციისთვის საილუსტრაციო მასალის მომზადება და სხვ.), სხვადასხვა მეთოდების კომბინირება (მაგ., ჯგუფში მუშაობისას ვერბალური, შესწავლილ თემასთან დაკავშირებული, საკითხების განხილვა და დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია/მოხსენება, წერითი დავალების/პრეზენტაციის მომზადება, საინფორმაციო

ტექნოლოგიების გამოყენება). სწავლების პროცესში გამოიყენება კონკრეტული მეთოდები:

ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის ან სამუშაო ჯგუფში მეცადინეობის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს დაამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესსეს და სხვ. სადაც მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. პროფესორი/პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობების დანიშნულებაა თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანებით გაღრმავება და განმტკიცება, რაც თეორიული ცოდნის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველს წარმოადგენს.

პრაქტიკა - პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შეძენას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული: პრაქტიკული მეთოდები, **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა-ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის გადანაწილდეს ფუნქციები. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

თანამშრომლობითი სწავლება (cooperative)- იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

დემონსტრირების მეთოდები -ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა მარტივი გზით პრობლემის არსში უკეთ წვდომის მიზნით. **ინდუქცია** -განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქცია- შემეცნების ისეთი მეცნიერული მეთოდია, რომელიც გულისხმობს საერთო ნიშანთვისებიდან კერძო ნიშნების გამოყოფას. ამ დროს აზროვნება ისე მიმდინარეობს, რომ ყოველი კომპონენტი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა აზრიდან. დედუქციური მეთოდი

	საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ სწორი დასკვნა, გამოვყოთ საერთო პრინციპები და კანონები, რომლებიც არ მოგვცემს შეცდომის დაშვების უფლებას: ისინი კონკრეტული მოვლენის ფაქტობრივი სინამდვილის დადგენაში გვეხმარება., **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. სწავლების პროცესში გამოიყენება ასევე: სტუდენტის მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკული ანალიზი და შეფასება; სხვათა სამუშაოს კონსტრუქციული კრიტიკა და სხვების მიერ საკუთარი სამუშაოს კრიტიკის გათვალისწინება; ინფორმაციის მოძიება ელექტრონულ ფორმატში **კომპიუტერული ტექნიკის ან/და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის** გამოყენებით, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის და ლიტერატურის მიმოხილვა. **დისტანციური განათლება** (Distance educatio). დისტანციური განათლება ითვალისწინებს ლექციების ჩატარებას დისტანციურად,ამისათვის სტდენტებს არ ჭირდებათ მისვლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში. დისტანციური განათლების განხორციელება ხდება ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ვიდეო/აუდიო კონფერენციები და ინტერნეტზე ან ბეჭდურ მასალაზე დაფუძნებული საშუალებები. **ონლაინ კურსები.** დისტანციური განათლების ფორმაა, რომელშიც სწავლების განხორციელების ძირითადი მექანიზმია ინტერნეტი. სწავლება ხორციელდება დისტანციურად სინქრონული ან ასინქრონული გზით. სწავლება ხორციელდება მხოლოდ დისტანციურად. **სინქრონული ონლაინ კურსები.** კურსები, რომლებშიც სტუდენტები და ინსტრუქტორი ერთდროულად მონაწილეობს, მაგრამ სხვადასხვა ლოკაციიდან - ძირითადად სასწავლებლის შენობის გარეთ. ეს კურსები შეიძლება ჩატარდეს ვიდეო კონფერენციებით, ვებ კონფერენციებით, აუდიო კონფერენციებით და ა.შ. **ასინქრონული კურსები.** კურსები, სადაც სტუდენტებს არ მოეთხოვებათ მონაწილეობდნენ სესიებში ინსტრუქტორთან ერთად. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ბეჭდურ მასალაზე დაფუძნებული კურსები ან ონლაინ კურსები, რომლებისთვისაც მაგალითად, სწავლების მართვის სისტემა გამოიყენება. **შერეული / ჰიბრიდული კურსები.** ეს არის კურსები, რომლებიც აგებულია ისე, რომ მოიცავს, როგორც ონლაინ ასევე „პირისპირ“ (ე.წ. face-to-face) სწავლების მეთოდების კომბინაციას. სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტების მონაწილეობა - უფრო აქტიური. მეთოდების კომბინირება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა ჩართულობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - სტუდენტები ეჩვევიან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას; მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/ წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა, პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო ჯგუფისა და სასწავლო კურსის თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე. სასწავლო კურსის სილაბუსში კონკრეტულად არის წარმოდგენილი სასწავლო კურსის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები.
სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება შესაბამისად.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის/ან უნარის ან/კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, ქეისი დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, რეფერატი, წერილობითი დავალება და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღმატებოდეს შუალედური შეფასებების 60 %-ს და დასკვნითი გამოცდის 60%-ს. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.
შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
(C) კარგი – 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩაბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კურსის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F(ჩაიჭრა) ქულა.

	საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სტრუქტურა განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხორციელდება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრინციპით Erasmus+ (შესაძლებლობების გაძლიერების) საერთაშორისო პროექტის ფარგლებში INTEGRITY-ის ფარგლებში დანერგილი პლაგიატის ამომცნობი პროგრამის Turnitin-ის მეშვეობით წერითი კომპონენტებისთვის.
დასაქმების სფეროები	აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მათ შორის არქივებში, მუზეუმებში, მასმედიასა და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში. ასევე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების დამატებითი პროგრამის ათვისებისა და მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ.
სწავლის გაგრძელების საშუალება	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფილოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.
პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: • სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; • კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; რომელიც ჩართლია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში და რომლით სარგებლობის უფლება ეძლევა დაინტერესებულ პირებს. • კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; • სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში.
პროგრამის ადამიანური რესურსი	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. (სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ ნუსხაში)

პროგრამის სტრუქტურა

ქართული ფილოლოგიის **საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით:** 40 კრედიტი - თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები;

125 კრედიტი - ძირითადის სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები; 15 კრედიტი- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები; 60 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები; ან minor პროგრამა	
თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსები **40 კრედიტი**	თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისებისა და საზოგადოებრივი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში, რომლებიც ემსახურება სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების მიზნებს. თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 40 კრედიტი. თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსები მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენის, აკადემიური წერის (ქართ. ინგლ, აღნიშნული სასწავლო კურსის ინგლისურად სწავლება უზრუნველყოფილია Erasmus+ -ის ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო პროგრამის INTEGRITY-ს, აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვა, ფარგლებში შეძენილი ლიტერატურით), ფილოსოფიის ისტორიის (კონცეპტუალური საკითხები) და დემოკრატია და მოქალაქეობის სწავლებას. თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსები გულისხმობს სწავლის შედეგებით განსაზღვრული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების მიცემას სტუდენტისთვის, რომ მას შეეძლოს აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნით გლობალურ გარემოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და შესაბამისი ღირებულებების გაზიარება. წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარება და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციოსაკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავება. აღნიშნული გულისხმობს ასევე უცხო ენის 20 კრედიტის ფარგლებში ინგლისური, გერმანული ან რუსული ენების (სტუდენტის არჩევით) სწავლებასა და ამ ენებზე კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბებას სტუდენტისთვის, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებას. პროგრამაზე ჩასარიცხად სტუდენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არ მოეთხოვებათ ჩააბარონ უცხო ენად მხოლოდ ინგლისური ენა, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჩარიცხვის შემთხვევაში ჯგუფების დიფერენციაციას უცხო ენის ცოდნის დონეებისა და ჩაბარებული უცხო ენის მიხედვით და შესაბამისად სწავლობენ არჩეულ ენას შესაბამისი საფეხურიდან თავისუფალი კრედიტის გამოყენებით.
ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსების 125 კრედიტი	ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსების ფარგლებში გასავლელი 125 კრედიტი, რომელიც გულისხმობს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი საკითხების ცოდნას ცალკეული სასწავლო კურსების სახით, ძირითადად ორიენტირებულია საგანმანათლებელო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა გაცნობიერებისა და და უნარების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნულს სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს. ყველა სასწავლო კურსი სავალდებულოა. ძირითადი სპეციალობის კრედიტების ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიული (საწარმო) პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს სტუდენტებისთვის თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საშუალების მიცემას და საბაკალავრო ნაშრომის წერა.
ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების 15 კრედიტი	ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების 15 კრედიტი სტუდენტს აძლევს ძირითადი სპეციალობის ფარგლებში მისთვის მიწოდებული სასწავლო კურსების გაძლიერების საშუალებას. არჩევითი სასწავლო კურსები აძლევს სტუდენტს ძირითადი სპეციალობის მოდულების ფარგლებში შესწავლილი კურსების შევსების საშუალებას.
დამატებითი სპეციალობა (minor)/ თავისუფალი კრედიტები 60 კრედიტი	აღნიშნული დამატებითი სპეციალობის 60 კრედიტი ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს აძლევს საშუალებას დამატებით შეისწავლოს სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი მეექვსე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებიდან ნებისმიერი 60 კრედიტის ფარგლებში. აღნიშნული 60 კრედიტი (თავისუფალი კრედიტების შემთხვევაში) მოქნილსა და რელევანტურს ხდის შიდა და გარე (საერთაშორისო) მობილობით მოსარგებლე სტუდენტთა კრედიტების აღიარების პროცედურას. რომელებმაც ისარგებლეს საზღვარგარეთ სწავლის საშუალებით სასწავლო უნვიერსიტეტში მოქმედი Erasmus+ (credit mobility) კრედიტების მობილობის ფარგლებში.

	ან აირჩოს Minor ტიპის პროგრამა (ისტორიის, ინგლისური ფილოლოგიის) და დაეუფლოს დამატებით სპეციალობას.

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსი	**20***	5	**5**	**5**						
1.	**SFB.1**	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5/125								35	90
			Academic Writing (Eng)										
2.	**SFB.2**	არ გააჩნია	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5/125								49	76
3.	**SFB.3**	არ გააჩნია	ფილოსოფიის ისტორია (კონცეპტუალური საკითხები)	5/125								49	76
4.												49	76
			უცხო ენის მოდული [5]	**20**									

[1] ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო

[4] საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი[5]	5	5	5	5						
5.	**SFB.5.**1.1	არ გააჩნია	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.1)	5/125								64	61
6.	**SFB.5.**1.2	**SFB.5.**1.1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.2)		5/125							64	61
7	**SFB.5.**1.3	**SFB.5.**1.2	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2.FCE1)			5/125						64	61
8	**SFB.5.**1.4	**SFB.5.**1.3	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 2..FCE2)				5/125					64	61
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი7										
9	**SFB.5.**1.5	არ გააჩნია	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B1.1)									64	61
10	**SFB.5.**1.6	**SFB.5.**1.5	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B1.2)									64	61
11	**SFB.5.**1.1	**SFB.5.**1.6	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი									64	61

[5] უცხო ენის მოდული გულისხმობს სტუდენტის მიერ შესაბამისი დონის მიღწევას ინგლისურ ან გერმანულ ან რუსულ ენაში. სტუდენტი ირჩევს იმ კომპონენტს, რომლის შესაბამისი დონეც დადგინდა ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად.

[6] უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა ინგლისური ენის ფლობის B1 დონე.

[7] უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა ინგლისური ენის ფლობის A2 დონე.

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			(B2.1)										
12	**SFB.5.**1.2	**SFB.5.**1.1	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B2.2)									64	61
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი[8]										
13	**SFB.5.**1.7	არ გააჩნია	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.1)									64	61
14	**SFB.5.**1.8	**SFB.5.**1.7	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.2)									64	61
15	**SFB.5.**1.5	**SFB.5.**1.8	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1)									64	61
16	**SFB.5.**1.6	**SFB.5.**1.5	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.2)									64	61
			უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი[9]										
17	**SFB.5.**1.9	არ გააჩნია	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A .1)									64	61
18	**SFB.5.**1.7	**SFB.5.**1.9	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (A 2.1)									64	61
19	**SFB.5.**1.8	**SFB.5.**1.7	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი									64	61

[8] უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - პროგრამის სტუდენტისთვის, **რომელსაც** სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად დაუდგინდა ინგლისური ენის ფლობის A 1 დონე.

[9] უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - პროგრამის სტუდენტისთვის, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდებით არ ჩაუბარებია ინგლისური ენა. ან სასწავლო უნივერსიტეტში არსებული უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგად ვერ ადასტურებს კომპეტენციას

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
			(A 2.2)										
20	**SFB.5.**1.5	**SFB.5.**1.8	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (B 1.1)									64	61
			ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები	10	10	15	15	15	18	15	27		
1	SGPHB0232.1.1.1	წინ.გარეშე	ენათმეცნიერების შესავალი	5/125								49	76
2	SGPHB0232.1.1.2	წინ.გარეშე	ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი	5/125								49	76
	SGPHB0232.1.1.25	წინ.გარეშე	სახელმწიფო ენის სწავლების სპეციალური კურსი		5/125								
3	SGPHB0232.1.1.3	წინ.გარეშე	ქართული ფოლკლორი		5/125							49	76
4	SGPHB0232.1.1.4	წინ.გარეშე	ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია			5/125						49	76
5	SGPHB0232.1.1.5	SGPHB0232.1.1.4	XII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორია				5/125					49	76
6	SGPHB0232.1.1.6	SGPHB0232.1.1.5	ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია					5/125				49	76
7	SGPHB0232.1.1.7	SGPHB0232.1.1.6	უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია						5/125			49	76
8	SGPHB0232.1.1.8	SGPHB0232.1.1.1	მორფოლოგია 1 (ფონეტიკა, სახელები)			5/125						49	76
9	SGPHB0232.1.1.9	SGPHB0232.1.1.8	მორფოლოგია 2 (ზმნა)				5/125					49	76
10	SGPHB0232.1.1.10	SGPHB0232.1.1.9	სინტაქსი 1 (მარტივი წინადადება)					5/125				49	76
11	SGPHB0232.1.1.11	SGPHB0232.1.1.10	სინტაქსი 2 (შერწყმული რთული წინადადება)						4/100			49	51
12	SGPHB0232.1.1.12	წინ.გარეშე	ანტიკური ლიტერატურის ისტორია		5/125							49	76
13	SGPHB0232.1.1.13	SGPHB0232.1.1.12	ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია			5/125						49	76
14	SGPHB0232.1.1.14	SGPHB0232.1.1.13	დასავლეთ ევროპის ლიტერატურის				5/125					49	76

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
			ისტორია										
15	SGPHB0232.1.1.15	SGPHB0232.1.1.1	ლექსიკოლოგია					5/125				49	76
16	SGPHB0232.1.1.16	SGPHB0232.1.1.15	სტილისტიკა						4/100			49	51
17	SGPHB0232.1.1.17	SGPHB0232.1.1.10	ძველი ქართული ენა						5/125			49	76
18	SGPHB0232.1.1.18	SGPHB0232.1.1.17	ქართული სალიტერატურო ენის ისტორია							5/125		49	76
19	SGPHB0232.1.1.19	SGPHB0232.1.1.17	პალეოგრაფია							5/125		49	76
20	SGPHB0232.1.1.20	SGPHB0232.1.1.19	ქართული დიალექტოლოგია								3/75	34	41
21	SGPHB0232.1.1.21	SGPHB0232.1.1.14	ლიტერატურის თეორია							5/125		49	76
22	SGPHB0232.1.1.22	SGPHB0232.1.1.11	ზოგადი ენათმეცნიერება								4/100	49	51
23	SGPHB0232.1.1.23	ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები მე-7 სემესტრის ჩათვლით	პრაქტიკა								10/250	116	134
24	SGPHB0232.1.1.24	ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები მე-7 სემსტრის ჩათვლით	საბაკალავრო ნაშრომი								10/250		
			ძირითადი სპეციალობის არჩევითი საგნები		10				2		3		
25	SGPHB0232.1.1.25	SGPHB0232.1.1.11	ქართველური სახელების ბრუნების პარადიგმა								3/75	34	41
26	SGPHB0232.1.1.26	წინ.გარეშე	კულტურის მეცნიერების შესავალი						2/50			34	16

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
27	SGPHB0232.1.1.27	წინ.გარეშე	ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება		3/75						X	34	41
28	SGPHB0232.1.1.28	წინ.გარეშე	რელიგიების ისტორია		2/50				X		X	34	16
29	SGPHB0232.1.1.29	წინ.გარეშე	დიგიტალური ქართველოლოგია		3/75				X		X	34	41
30	SGPHB0232.1.1.30	SGPHB0232.1.1.6	ქართველი 60–იანელები და რეალისტური იდეოლოგია								3/75	34	41
31	SGPHB0232.1.1.31	SGPHB0232.1.1.7	გალაკტიონი								3/75	34	41
32	SGPHB0232.1.1.32	წინ.გარეშე	დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები		5							49	76
33	SGPHB0232.1.1.33	წინ.გარეშე	ამერიკული ლიტერატურა		5							49	76
34	SGPHB0232.1.1.34	წინ.გარეშე	ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია		5							49	76
			დამატებითი სპეციალობა										
			ძირითადი სპეციალობის სავალდებულო საგნები			**10**	**10**	**15**	**10**	**15**			
1.	SGPHB0232.1.1.1	წინ.გარეშე	ენათმეცნიერების შესავალი			5						49	76
2.	SGPHB0232.1.1.3	წინ.გარეშე	ქართული ფოლკლორი			5						49	76
3.	SGPHB0232.1.1.4	წინ.გარეშე	ქართული სასულიერო მწერლობის ისტორია				5					49	76
4.	SGPHB0232.1.1.5	SGPHB0232.1.1.4	XII-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორია					5				49	76
5.	SGPHB0232.1.1.6	SGPHB0232.1.1.5	ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია						5			49	76
6.	SGPHB0232.1.1.7	SGPHB0232.1.1.6	უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია							5		49	76
7	SGPHB0232.1.1.8	SGPHB0232.1.1.1	მორფოლოგია 1 (ფონეტიკა, სახელები)				5					49	76
8	SGPHB0232.1.1.9	SGPHB0232.1.1.8	მორფოლოგია 2 (ზმნა)					5				49	76

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები[3]	დამოუკიდებელი საათები[4]
9	SGPHB0232.1.1.10	SGPHB0232.1.1.9	სინტაქსი 1 (მარტივი წინადადება)						5			49	76
10	SGPHB0232.1.1.11	SGPHB0232.1.1.10	სინტაქსი 2 (შერწყმული რთული წინადადება)							4		49	51
			თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები			10	10	15	10	15			
			სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**		
			წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**			